

პროლოგი

(სხვათა წინადადება ვ. 1333/25)

I სვეტი

(1-12) როდესაც დიდებულმა ანუმა, ღმერთების მამამ, და ენლილმა, მიწების მეუფემ, უფალმა, რომელიც განაგებს ღვთაებებს, ნინისინას, ანუს ქალიშვილს მისთვის და გამსიარულება მისი ნათელი/კაშკაშა შუბლისთვის;

(18-19) როცა მათ უბოძეს მას^(f.) (Hof) შუშერისა და აქადის მეფობა და სასურველი მეფობა თავის (ქალაქ) ისინში, დაარსებული ანუს მიერ;

(20-37) როცა ანუმა და ენლილმა უბოძეს ლიფითიშთარს - ლიფითიშთარი ბრძენი მწყემსი, რომლის სახელიც წარმოთქმულ იქნა ნუნამნირის მიერ - ქვეყნის სამართავად იმ მიზნით, რათა დაემკვიდრებინა ქვეყნად სამართლიანობა, განედევნა უკმაყოფილებანი (ლიტ. "გაეწმინდა უსიამოვნებები პირიდან"), მოესბო მტრიანობა და ჯანყი ლაშქრების ძალისხმევით (ლიტ. "აქძულებინა იარაღი, რომ განედევნა/უკან გაებრუნებინა მტრიანობა და ჯანყი) და დაემკვიდრებინა შუშერებისა და აქადელებისთვის კეთილდღეობა (ლიტ. შუშერებისა და აქადელების, რათა კარგი გაეხდა მათი სხეულები)

(38-55) მაშინ მე, ლიფითიშთარმა, ნიფურის მორჩილმა მწყემსმა, ურის ძლიერმა მწყემსმა, ვინც არ ტოვებს ერიდუს, Erech-ის შესაფერისმა მეუფემ, ისინის მეფემ, შუშერისა და აქადის მეფემ, მე, ვინც ვარ შესაფერისი ინანას გულისთვის, დავაძკვიდრე სამართლიანობა შუშერსა და აქადში ენლილის სიტყვის მიხედვით.

II სვეტი

(1-15) ჭეშმარიტად, იმ დღეებში მე მივადწიე თავისუფლებას ნიფურელი ვაჟიშვილებისა და ქალიშვილებისა, ურის ვაჟიშვილებისა და ქალიშვილებისა, ისინის ვაჟიშვილებისა და ქალიშვილებისა, შუშერელი და აქადელი ვაჟიშვილებისა და ქალიშვილებისა, რომელთა შორისაც მონობა იყო განმტკიცებული.

(16-28) ჭეშმარიტად, მიხედვით, მე ვაიძულე მამა დახმარებოდა(მხარი დაეჭირა, შეენახა) შვილებს და ვაიძულე შვილები დახმარებოდნენ მამას; მამა გაეხდა დამოკიდებული შვილებზე და შვილები გაეხდა დამოკიდებული მამაზე; მამის სახლში და ძმების სახლში მე

(29-40) ჭეშმარიტად, მე, ლიფითიშთარმა, ენლილის ძემ, მოვიტანე სამოცდაათი მამის სახლსა და ძმის სახლში; უცოლოს სახლში მე მოვიტანე ათი თვისთვის, კაცის ცოლი, კაცის შვილი

კანონები

ზედა მხარე

V სვეტი (1-2)

1. რომელმაც შექმნა

VI სვეტი (1-2)

2. მამის სახლის საკუთრებიდან

VII სვეტი (1-4)

3. სახელმწიფო მოხელის ვაჟიშვილი, სასახლის მოხელის ვაჟიშვილი, ზედამხედველის ვაჟიშვილი

განხილვა

უკანა მხარე

XI სვეტი

4. (9-11) ნავი ნავი მან უნდა

5. (12-17) თუ კაცმა დაიქირავა ნავი და დადო-ზე მოგზაურობა მისთვის

ნავი

XII სვეტი

6. (7-8) საჩუქარი/ძღვენი მან უნდა

7. (8-16) თუ მან მისცა თავისი ბალი შებაღეს რათა აეყვავებინა და შებაღე ბალის პატრონს

შეღე

(დაახლოებით 33 ხაზი გამოტოვებულია)

8. (50-XIII სვეტი 7) უკეთუ კაცი კაცს ბალის გასაშენებლად (იჯარით) ყაშირ მიწას მისცემს (და) ამ ყაშირზე ბალის გაშენებას (სიტყვ. "ბალის ხეების დარგვას") იგი არ დაასრულებს, (მაშინ) ბალის გამშენებელ კაცს მის წილში ყაშირი მიწის (დაუშუშავებლად) დატოვებული (ნაწილი) (უნდა) მისცეს.

ნაწილი

9. (8-14) უკეთუ კაცი (სხვა) კაცის ბაღში შევა (=შეიბარება და იგი) ქურდობისასა შეპყრობილ იქნება, (ბალის პატრონს მან) ათი სიკლი ვერცხლი (უნდა) მიუწონოს.

ქურდი

10. (15-18) უკეთუ კაცი (სხვა) კაცის ბაღში ხეს მოჭრის, (ბალის პატრონს მან) ნახევარი მინა ვერცხლი (უნდა) მიუწონოს.

ხე

11. (20-34) უკეთუ კაცის კარმიდამოს გვერდით (სხვა) კაცის დაუშუშავებელი მიწის ნაკვეთი მიტოვებულია (და) კარმიდამოს პატრონი დაუშუშავებელი მიწის ნაკვეთის პატრონს ეტყვის: "რადგან შენი დაუშუშავებელი მიწის ნაკვეთი მიტოვებულია, (ამის გამო) ჩემს კარმიდამოში (შეიძლება) ვინმემ შემოაღწიოს. გაამაგრე შენი კარმიდამო!" (და თუ) ამის (შესახებ) ხელშეკრულება მათ შორის (სიტყვ. "მასთან") დაიდება, (მაშინ) დაუშუშავებელი მიწის ნაკვეთის პატრონმა კარმიდამოს პატრონს მისი დანაკარგი (უნდა) აუნაზღაუროს.

გაამაგრე

მონა
გაქცევა

12. (35-43) უკეთუ კაცის მხევალი (ან) მონა ქალაქის შიგნით (პატრონის სახლიდან) გაქცევა (და სხვა) კაცის სახლში ერთი თვის (განმავლობაში) იცხოვრებს (და ეს) დადასტურდება, (მაშინ ამ კაცმა გაქცეულის პატრონს) თავი თავის მაგიერად (=მონა მონის მაგიერად) (უნდა) მისცეს.

13. (44-47) უკეთუ (ამ კაცს) თავი (=მონა) არ ჰყავს, (მაშინ მან გაქცეულის პატრონს) თხუთმეტი სიკლი ვერცხლი (უნდა) მიუწონოს.

14. (48-XIV სვეტი-4) უკეთუ (სავალო კაბალაში ჩავარდნილი პირი) - კაცის მონა თავის ბატონს (=მხევალს) თავის მონურ (სამსახურში) დაუბრუნდება (და) თავის ბატონს (=მხევალს) თავისი მონური (სამსახურით ვალს) ორმაგად აუნაზღაურებს (სიტყვ. "დაუდგენს", მაშინ) ეს მონა (=სავალო კაბალაში მყოფი პირი) განთავისუფლებულ (უნდა) იქნას.

15. (5-8) უკეთუ მიქთუმი (=მონა?) შეფის ნაბობებია, იგი არ (შეიძლება) ჩამორთმეულ იქნას.

მიქთუმი სპურ ნება / მონა

ნიჰტუმ ??

16. (9-15) უკეთუ მიქთუმი თვითონ მივა კაცთან, ამ კაცმა არ (უნდა) დააკავოს იგი, სათოკენაც (უნდა, იქეთ) წავიდეს იგი.

17. (16-24) უკეთუ კაცი კაცს უსასყიდლოდ მისთვის უცნობ საქმესთან (დაკავშირებით) აავალდებულებს (=აღბათ, თავდებად დაასახელებს), იმ კაცს (შეუძლია) არ შეასრულოს (იგი), საქმესთან (დაკავშირებული) ვალდებულება (პირველმა კაცმა) (თვითონ) იკისროს, (რაც მან სხვას) დაავალა.

ქალაქის
მხარე

18. (25-37) უკეთუ სახლის/ქონების პატრონი ან დიასახლისმა სახლზე (შეწერილი) ვადასახადის (გადახდა) შეწყვიტა, (ხოლო ამ ვადასახადს) იხდია სხვა კაცი, სამი წლის განმავლობაში ის (სახლის პატრონი) შეიძლება რომ არ იქნეს გაძევებული, შეძლებ კი კაცს, (რომელიც) სახლზე (შეწირულ) ვადასახადს იხდია, (შეუძლია) ის სახლი წაიღოს (=სახლს დაეუფლოს). სახლის პატრონი პრეტენზიას ვერ განაცხადებს.

19. (38-49) უკეთუ სახლის/ქონების პატრონი

20. (50-54) უკეთუ კაცი ქონება ჩამოერთმევა(?)

XV სვეტი
(დაახლოებით 33 ხაზი გამოტოვებულია)

სახლის
ქონება

21. (34-44) მამის სახლი
(სამი ხაზი გამოტოვებულია)

.....ის(ბიჭი) [დაქორწინდა] მამამისის (გოგოს მამის) სახლის საჩუქრები, რომლებიც მას (გოგოს) აჩუქეს, როგორც მისი შემკვიდრეობა მას (ბიჭს) შეუძლია აიღოს.

გულის
ქონება

22. (45-51) უკეთუ მამა ცოცხალია, მის ქალიშვილს - იქნება იგი ნინდინგირი (=უძაღლესი კატეგორიის ქურუმი ქალი), ლუქური (=პიეროდული) თუ ნუგვი (=კურტიანა - ტაძრის მეძავი ქალი, ჩვეულებრივ იყო წარჩინებული ქალი)-

სუ-ქალი

როგორც შემკვიდრეს (სიტყვ. "შემკვიდრის მსგავსად") მის (=მამის) სახლში (შეუძლია) იცხოვროს.

23. (52-43) უკეთუ ქალიშვილი (თავისი) ცოცხალი მამის სახლში

XVI სვეტი

(დაახლოებით 22 ხაზი გამოტოვებულია)

24. (23-34) უკეთუ (კაცმა) მეორე ცოლი (სიტყვ. "მომდევნო ცოლი" = რიგით მეორე ცოლი) შეირთო (და მან კაცს) შვილები უშვა, მზითვი, (რომელიც ქალს) თავისი მამის სახლიდან (აქვს) მოტანილი, მისი შვილებისაა, (ხოლო) შვილები რიგით პირველი ცოლისა და (შვილები) რიგით მეორე ცოლისა თავიანთი მამის ქონებას თანაბრად გაიყოფენ.

25. (36-48) უკეთუ კაცმა ცოლი შეირთო (და მან კაცს) შვილები უშვა, ეს შვილები (კი) იცოცხლებენ და (აგრეთვე) მხევალიც თავის ბატონს შვილებს უშობს, (შემდეგ კი) მამა მხევალსა და მის შვილებს გაათავისუფლებს, მაშინ მხეველის შვილებმა თავიანთი ბატონის შვილებთან ერთად სახლი (=მოელი ქონება) არ (უნდა) გაიყონ.

26. (50-XVII სვეტი-8) უკეთუ მისი პირველი ცოლი მოკვდა და მისი (სიკვდილის) შემდეგ მან თავისი მხევალი მოიყვანა ცოლად, მისი პირველი ცოლის შვილები არიან მხოლოდ შემკვიდრები; ბავშვები, რომლებიც მხევალმა გააჩინა უნდა იყვნენ მსგავსად ... მისი სახლი მათ უნდა (გუჲ?)

27. (9-26) უკეთუ კაცს თავისი ცოლი შვილებს ვერ უშობს, (ხოლო) მეძავი ქუჩის მას შვილებს უშობს, (მაშინ კაცმა) ამ მეძავს მარცვლის რაციონი, ზეთის რაციონი (და) ტანსაცმელი (სიტყვ. "ტანსაცმლის რაციონი") (უნდა) აძლიოს (სიტყვ. "აძლიოს მას"). შვილები, (რომლებიც) მეძავმა (კაცს) უშვა, მისი შემკვიდრები არიან. (მაგრამ) სანამ მისი (=კაცის) ცოლი იცოცხლებს, მეძავი რიგით პირველ ცოლთან ერთად (კაცის) სახლში არ იცხოვრებს.

28. (27-38) უკეთუ კაცი პირს შეაქცევს თავის პირველ ცოლს მაგრამ ის (ცოლი) არ წავა სახლიდან; მისი ცოლი, რომელზეც იგი დაქორწინდა, როგორც მისი საყვარელი (შესაძლებელია *dam-gatam* მიშნავს "საყვარელ ცოლს") არის მეორე ცოლი; მან უნდა გააგრძელოს თავისი პირველი ცოლის შენახვა/დახმარება.

29. (39-49) უკეთუ ზედსიძე სიმამრის სახლში შევა (და) ურვადს (სიტყვ. "სიძის რაიმეს") მიიტანს, ამის შემდეგ (თუ) მას გააძევენ (და) მისი მეგობრობისთვის მისი ცოლის მითხოვებას (განიზრახავენ), მის (მეორე) მიტანილი ურვადი მასვე უნდა მისცენ (=დაუბრუნონ), (ხოლო) ცოლი იგი მისმა მეგობარმა არ (უნდა) შეირთოს.

30. (50-59) უკეთუ ახალგაზრდა დაქორწინებული კაცი დაქორწინდება მეძავზე სახალხო სკვერიდან და მოსამართლეები უბრძანებენ მას, რომ არ შეხვდეს მას (უფრო ლიტერ. "რომ ის აღარ უნდა დაბრუნდეს მასთან"), მაგრამ შემდეგ არაფრად ჩააგდებს/უგულელებლყოფს თავის ცოლს, ფული (მისი უგულელებლყოფისთვის)

XVIII სვეტი

(დაახლოებით 4 ხაზი გამოტოვებულია)

31. (5-11) მას აქვს მიცემული მისთვის, მათი მამის სიკვდილის შემდეგ შემკვიდრებმა უნდა გაინაწილონ მამამისის მამული/სახლი, მაგრამ მამულის/სახლის შემკვიდრება მათ არ უნდა გაინაწილონ; მათ არ უნდა "მონარშონ მამამისის სიტყვა წყალში"

32. (12-19) უკეთუ მამას თავის სიცოცხლეში გადადებული/გადანახული აქვს ნიშნობის საჩუქარი თავისი ყველაზე უფროსი შვილისთვის და მამის სიცოცხლეში შვილმა ცოლი მოიყვანა, მამის სიკვდილის შემდეგ შემკვიდრე

(დაახლოებით 17 ხაზი გამოტოვებულია)

33. (36-39) უკეთუ დადასტურებულია, რომ არ გაყო/გაანაწილა მამული/სახლი, მან უნდა გადაიხადოს 10 შეკელი ვერცხლი.

34. (40-44) უკეთუ კაცი ხარს დაიქირავებს (და) კისრის ძარღვს გაუწყვეტს, (ხარის პატრონს ხარის) ფასის შესაძედი (ოდენობის ვერცხლი უნდა) მიუწონოს.

35. (45-48) უკეთუ კაცი ხარს დაიქირავებს (და) მას თვალს დაუზიანებს, (ხარის პატრონს ხარის) ფასის ნახევარი (ოდენობის ვერცხლი უნდა) მიუწონოს.

36. (49-52) უკეთუ კაცი ხარს დაიქირავებს (და) მას რქას მოსტეხს, (ხარის პატრონს ხარის) ფასის მეოთხედი უნდა მიუწონოს.

37. (53-57) უკეთუ კაცი ხარს დაიქირავებს (და) მას კუდს მოსწყვეტს, (ხარის პატრონს ხარის) ფასის მეოთხედი (ოდენობის ვერცხლი უნდა) მიუწონოს.

XIX სვეტი

(დაახლოებით 4 ხაზი გამოტოვებულია)

38. (5) მან უნდა გადაიხადოს.

ეპილოგი

(6-17) ჭეშმარიტად, უთუს მართალი სიტყვის მიხედვით, მე დაფამკვიდრე სამართლიანობა შუშერსა და აქადში, ჭეშმარიტად, ენლილის განცხადების თანახმად, მე, ლიფითიშთარმა, ენლილის ძემ, მოვსბე მტრიანობა და ჯანყი; ცრემლი, წუხილი და ... ავღკვეთე; სამართლიანობას საშუალება მივეცი თავისუფლად ებრწყინა; შუშერებსა და აქადელებს კეთილდღეობა მოვუტანე (ლიტერ. "კარგად გავხადე შუშერებისა და აქადელების სხეულები").

(დაახლ. 19 ხაზი გამოტოვებულია)

(36-38) ჭეშმარიტად, როდესაც მე დავამკვიდრე სიმდიდრე უშუალოდ და აქადში, მე აქედმართვე ეს სტელა.

(39-48) ის, ვინც არ ჩაიდენს ბოროტ საქმეს ამის გათვალისწინებით, ვინც არ დააზიანებს ჩემს ხელით ნამუშევარს, ვინც არ წაშლის მასზე დაწერილს, ვინც არ დაწერს თავის საკუთარ სახელს მასზე - მიენიჭება ხანგრძლივი სიცოცხლე; მას შეეძლება ამაღლდეს (უფრო ღიბურ. "მას შეუძლია აწიოს კისერი ზეცაში") ეკურში; დაე, ენლილის ნათელმა შუბლმა გადმოხედოს მას.

(49-58) (სხვა მხრივ) ის ვინც ჩაიდენს ბოროტებას, ვინც დააზიანებს ჩემს ხელით ნამუშევარს, ვინც შევა საწყობში და შეცვლის მის საფუძველს/კვარცხლობებს, ვინც წაშლის მასზე დაწერილს, ის ვინც დაწერს თავის საკუთარ სახელს მასზე, (ან) ვინც, ამ წყევლის გამო, შეენაცვლება/შეცვლის ვინმე სხვას თავისით - ეს კაცი, თუნდ იყოს თუნდ იყოს

XX სვეტი
(9-44 გამოტოვებულია ან ძალიან დაზიანებული)

(45-51) ჩაითვლება; დაე ამ მიწის საფუძველი არ იყო უცვლელი (?); მისი მუფე, ვინც არ უნდა იყოს ის, შესაძლებელია ნიხურთა, შემძლე გმირი, ენლილის ძე,

(დანარჩენი განადგურებულია)

წმ
| ენიუ ძენ მიტრეხანი